№ 197
ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

ტფილისი

№ 197
ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

სეზონის დაწყება
ოთხშაბათს, 12 სექტემბერს 1901 წ.
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
ქ-ნ. ლეჟავას სადებიუტოთ

წარმოდგენილი იქნება
I

ციხის საიდუმლო

დრამა 4 მოქმედებად, გადმოკ. ვ. გუნიას მიერ
II

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი 1 მოქმედებად თხზ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობენ: ქალბატონნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, მდივანი და აბხაზიშვილი.

ბატონნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია
რეჟისორი ვ. აბაშიძე

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა იქნება კვირას, 16 სექტ.; მზადდება ახალი პიესა „**პატიოსნება**" ზუდერმანისა.

ექიმი

ვასილი მიხეილის-ძე

მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—12).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible]აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეჟთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 12 სექტემბერს, დაიწყობა ქართულის წარმოდგენების სეზონი. წარმოადგენენ ამ საღამოთი „ციხის საიდუმლოს" 4 მოქმედებიან დრამას, ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებულს, და სუნდუკიანცის ვოდევილს „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია". ამ წარმოდგენაში პირველად მონაწილეობას იღებს ახლად მოწვეული ქალი ქ-ნი ლეჟავა.

⁂ როგორც გვატყობინებენ, საციციანოში მცხოვრებ ოსებს მოუწადნიათ შავის ზღვის ნაპირის ადგილებზედ გადასახლება. ამის შესახებ მათ განაჩენიც დაუდგენიათ და საჭირო ფულიც შეუკრებიათ, მაგრამ აქამდე ისეთი კაცი ვერ

ფელეტონი

ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა მე-XIX საუკუნეში*)

I. საზოგადო ხასიათის ჟურნალ-გაზეთები.

საზოგადო მიმოხილვის შემდეგ, ავნუსხოთ ახლა როდის რომელი ჟურნალი ან გაზეთი გაჩნდა, ვინ იყო მისი რედაქტორი, რა მიმართულება ედგა, რამდენად ვრცელდებოდა საზოგადოებაში და რამდენს ხანს იცოცხლა. „საქართველოს გაზეთი". ამ სახელ-წოდებისა იყო პირველი ჩვენი გაზეთი. დაარსდა 1817 წელს. არ ვიცით, ვინ იყო რედაქტორი ამ პირველის სალიტერატურო ორგანოსი ამიერ-კავკასიაში. გაზეთი იბეჭდებოდა მომხო, ნაცრის ფერს ქაღალდზედ და ფორმატა ჩვეულებრივის საწერ ქაღალდის თაბახისა ჰქონდა. ნაბეჭდი ორ სვეტად იყო გაყოფილი. როგორცა სჩანს საცენზურო კომიტეტის არხივის საქმეთაგან, ეს გაზეთი მოისპო 1820 წელს. ჩვენ მხოლოდ ერთად-ერთი ნომერი ვნახეთ ამ პატარა გაზეთისა, სახელდობრ № 25, 1818 წლის 22 აგვისტოს თარიღით დაბეჭდილი. ეს გარემოება ჰმოწმობს, რომ გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ, თუმცა არა ყოველთვის თავ-თავის დროზედ, მოუცდენლად. თავ-თავის დროზედ რომ გამოსულიყო მუდამ, 22 აგვისტომდე 30—31 ნომერი მაინც დაიბეჭდებოდა. ჩვენ მიერ ნახული ნომერი ამ გაზეთისა ინახება სიონის საეკლესიო მუზეუმში. დაბეჭდილია შიგა: 1) განცხადებანი „აღმასრულებელ ექსპედიციისა" (Экспедиція суда и расправы при верховномъ Грузинскомъ правительствѣ) და „საქართველოს ღუბერნატორის" თანამდეობის აღმასრულებელის ხოვენისა, 2) მოთხრობანი პეტრე დიდისა და 3) მოთხრობანი შესახებ სხვა-და-სხვა საგნებისა. ენა ამ ძველის-ძველ გაზეთისა, ჩვენის ჟურნალ-გაზეთობის მამათ-მთავრისა, ფრიად კანონიერია, სუბუქი და ადვილად გასაგები ყოველის ქართველისათვის.

„ქართული გაზეთი". ეს გაზეთი დაარსდა 1821 წელს, პირველის მოსპობის შემდეგ, საქართველოს უმაღლეს მთავრობის განკარგულებით და გამოდიოდა კვირაში ერთხელ, უფრო იმიტომ, რომ ებეჭდათ შიგ ოფიციალური ამბები, ბრძანებანი და განკარგულებანი მთავრობისა. სალიტერატურო მასალა ამ გაზეთში მცირედ იბეჭდებოდა. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვეთ ცნობა იმისა, თუ ვინ იყო ამ გაზეთის რედაქტორი, ან რა ჰღირდა იმის დაბარება. ერთი ნომერი ამ გაზეთისა, შემთხვევით ნაპოვნი, სახელდობრ № 36, გადაბეჭდილი იყო „დროებაში" 1871 წელს. გაზეთის თავში გამოხატული იყო წმ. გიორგი ძლევა-შემოსილი, მფარველი საქართველოსი, ცხენზედ მჯდომარე. გაზეთის ბეჭდვა შესწყდა 1825 წელს.

„ტფილისის უწყებანი". ეს გაზეთი გაჩნდა 1830 წელს. მისი რედაქტორი იყო სოლომან დოდაშვილი, სოფელ მაღაროში დაბადებული. სოლომონ დოდაშვილი შესანიშნავი და ნიჭიერი კაცი იყო თავის დროის. განათლება მიიღო რუსეთში. შეადგინა სახელმძღვანელო წიგნი რუსულს ენაზედ ლოღიკისა, რომელიც ერთხანად სასწავლებლებშიც-კი იყო მიღებული. მანვე შეადგინა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო. დოდაშვილი ეკუთვნოდა იმ ახალგაზდა კაცთა წრეს, რომელმაც განიზრახა აჯანყება რუსთა მთავრობის წინააღმდეგ ტფილისში. ეს განზრახვა გაუგეს და ყველა მონაწილენი და მათთან სოლ. დოდაშვილიც გაგზავნილ იქმნენ რუსეთში სასჯელის მოსახდელად. ამ გაგზავნილთა შორის ერივნენ ისეთნიც, რომელთაც ბოლოს სახელი გაითქვეს ჩვენში და სამსახურშიაც დიდად დაწინაურდნენ. ზოგნი მათგანნი მხოლოდ ციხეში იქმნენ დაპატიმრებულნი რამდენიმე წლით.

ჩვენამდე მოახწია დოდაშვილის გაზეთის 2—12 ნომრებმა. გაზეთს სალიტერატურო დამატებაც ქონდა, რომელიც ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. თვით გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა, სამშაბათობით და ჰღირდა დამატებითურთ 8 მან. წელიწადში. დამატებაში, რომელიც ჩვენ ვნახეთ და რომელიც ინახება „წერა-კითხვის საზოგადოების" ბიბლიოტეკაში 2467 ნომრით სულ 24 გვერდია ოთხად შეკეცილის თაბახისა. ენა ამ დამატებისა, რომელიც ზედ ახალ-წელიწადს დღეს არის გამოცემული, ძველებურია, მწიგნობრული, ძნელად გასაგები ჩვეულებრივის მკითხველისათვის. ბოლოზედ აწერია: ნება რთულ არის დაბეჭდვად. ტფილისი, იანვრის 1 1832 წელსა.

„მახარობელი". სრულიად არა ვიცოდით-რა ამ გაზეთისა: ან როდის დაარსდა, ან ვინ იყო მისი დამაარსებელი. ყოველსავე ამას მივხვდით იმ ნეკროლოგით, რომელიც დაბეჭდილია რუსულ გაზეთის „Закавказскій Вѣстникъ"-ის ერთ-ერთს ნომერში 1845 წელს. ამ გაზეთს ჰბეჭდავდა ცნობილი მსწავლული პლ. იოსელიანი და ზემოხსენებული ნეკროლოგიც სწორედ იმისი დაწერილია. ნეკროლოგიდან სჩანს, რომ გაზეთი „მახარებელი" დაუარსებია თ. ზაქ. ფალავანდიშვილს, რომელსაც განათლება მიუღია რუსეთში და რომელიც „Закав. Вѣстникъ."-ის თანამშრომელიც ყოფილა. ზაქ. ფალავანდიშვილი გადაცვლილა 1845 წელს, 10 ივლისს, ჯერ ისევ ახალგაზდა კაცი. მის სიკვდილის გამო მოსპობილა ბეჭდვა მისის თაოსნობით დაარსებულის გაზეთისაცა.

„ცისკარი"—ყოველ-თვიური სალიტერატურო ჟურნალი, დაარსებული 1852 წელს, თ. გიორგი ერისთავის მიერ. გიორგი ერისთავი პირველი დრამატურგი იყო, დამაარსებელი ქართულის თეატრისა. გიორგიც ერია იმ ახალგაზდა

---

*) იხ. „ივერია" № 193.

უპოვნიათ, რომელმაც გზა უჩვენოს და მთავრობის წინაშე შუამდგომლობა გაუწიოს.

⁂ სად. გომის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში: წრომსა, ყელეთსა, ახალსოფელსა, მიწობში და სხვაგან, როგორც იქიდგან გვწერენ, შარშანდელსავით წრეულსაც ძალიან ნაკლები მოსავალი იყო. ქერი და პური ფშუტე გამოდგა; სიმინდიც, თუმცა პირველად კარგი ჩანდა, გვალვამ და ქარმა წაახდინა. სიმინდს ტაროზედ მარცვალი წვრილი გამოადგა. საფიქრელია ამიტომ, რომ წლის ბოლოს ამ სოფელში შარშანდელსავით გაჭირვება დადგეს, იქმნება უარესიც, რადგანაც შარშანდელმა მოუსავლობამ გლეხობა ძალიან დაავალიანა.

⁂ რადგანაც ტფილისის ზოგიერთი კერძო სასწავლებელი და პანსიონი კარგად არა ყოფილა მოწყობილი, კავკასიის ოლქის მზურველს ბ. ზავადსკის დაუვალებია ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების 1 და 2 განყოფილების ინსპექტორებისათვის, რევიზია მოახდინონ. ინსპექტორები კიდევაც შეუდგნენ რევიზიას.

⁂ ორშაბათს, 10 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა, რადგანაც 22 ხმოსანზედ მეტი არ გამოცხადდა.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებული ი. ს. მედვედევი ამ დღეებში სოჭაში წავიდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის სანახავად.

⁂ როგორც გაზეთი „კვალი“ იუწყება, 2 სექტემბერს ოზურგეთში გაიხსნა კერძო ქალთა პროგიმნაზია საპროფესიონალო განყოფილებით.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ხარფუხში აარსებენ საეკკლესიო სამასწავლებლო სასწავლებელს. რადგანაც ამ სასწავლებელთან ორ-კლასიანი სკოლა იქმნება, აზრადა აქვთ გააუქმონ სამი სამრევლო საეკკლესიო სკოლა, დღეს ხარფუხში არსებული.

⁂ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას აზრადა აქვს ახალქალაქში სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველო დააარსოს. ახალქალაქს უკვე დაუთმია სამკითხველოსათვის 30 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა.

⁂ 7 სექტემბერს სოფელ გლდანში ვიღაც ბოროტგანმზრახველს თოფით მოუკლავს ქ-ნ თამამშევის მებაღე საბა ხუციძე და ფული წაუღია.

⁂ ორშაბათს, 10 სექტემბერს, ბაქოდგან ტფილისში ჩამოვიდა გერმანიის პროფესორი ბ-ნი დიტმერი.

⁂ რედაქციამ მიიღო მე-VII და VIII ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“ შინაარსი: „ღრუბელი“—ლექსი ბელიაშვილისა; „ჩიტუნია“—ნ. ჯანასიასი; „უბედური მდიდარი“—ს. ვაშაძესი; „თომა ედვარდის ყმაწვილობა“.—თარგმ. ან. წ—ლა; „მსუნაგი“—ლექსი ლელაშვილისა; „მოხერხებული მელა“—კაზ—იმერლისა; „ლედი ჯერ“—ელ. წერეთლისა; ბაქტერიები ანუ ბაცილები—ი. გომართელისა; „ყრმის საფლავზედ“—ლექსი დ. თომაშვილისა; ჯამბაზი—ს. ციციშვილისა; ქვის საუკუნის ბავშვები—ეკ. მ—სა; წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, შარადა და სხვანი.

კავკასიის გამოფენა.

ტფილისის საბრეშუმო სადგურში გუშინწინ საღამოს სხდომა ჰქონდა მეურნეთა კრებების მე-7 სექციასა ბ-ნ ტარხოვის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 27 წევრი. პირველად განხილულ იქმნა ჩაქვის საუფლისწულო მამულის სპეციალისტის ბ-ნ დედუშინის პროექტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა გავრცელდეს ხალხში სამეურნეო ცოდნა. როგორც მოხსენებიდგან ჩანს, დედუშინის აზრით ამ მიზნის მისაღწევად უნდა აღიძრას შუამდგომლობა მიწად-მოქმედების მინისტრის წინაშე, რომ განსაკუთრებულად შემუშავებულ პროგრამისა ძ-მიხედვით ნება დაერთოს მსურველ სოფლის მემამულეს გახსნას სამეურნეო სკოლა, სადაც მიღებულ უნდა იქმნენ წერა-კითხვის მცოდნენი 16—30 წლამდე. შემდეგ იქ კურსის დასრულებისა, მოსწავლენი დაიჭერენ გამოსაცდელს ეგზამენს მოწმობის მისაღებად. ასეთის სკოლების ფეხის მოსაკიდებლად და თვით საქმის ინიციატორთა წასახალისებლად უნდა პრემიები იქნეს დანიშნული 100—300 მანეთამდე თითოეულ შეგირდზე მემამულეს დასაჯილდოვებლად. ამავე მოხსენებასთან კრებას ბ-ნმა დედუშინმა წარუდგინა აგრეთვე პროგრამა, თუ როგორ და რა საგნების სწავლა უნდა სწარმოებდეს განზრახულ სკოლაში. პრინციპიალურად კრებამ ეს პროექტი მოიწონა. ამორჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა წარუდგინოს მოხსენება შემდეგ სხდომას ამ სექციისას. მეორედ განხილულ იქმნა 4-დგან 6 სექტემბრამდე წელს ტფილისში მომხდარ სოფლის მასწავლებლების სხდომების ოქმები, რომელნიც მცირედის ცვლილებით აგრეთვე მიიღო კრებამ.

სხდომა შესწყდა ღამის 10 საათზედ.

⁂

კავკასიის საიუბილეო გამოფენის გამგე-კომიტეტს დღემდე გამოფენაზე დასათვალიერებლად ბილეთები გაუყიდნია 7,300 მანეთისა.

ოცდახუთი წლიწადი ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიის არსებობისა.

ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია დაარსდა ქ. გორში 1876 წელს ენკენისთვის 12-სა. მაშასადამე ამ ენკენისთვის 12-ს შეუსრულდება მას ოცდა-ხუთი წელიწადი. ოცდახუთი წელიწადი მცირედი დრო არ არის და ამ დროს განმავლობაში თუ რამე შეეძლო, რაიმე უნარი ჰქონდა ამ სასწავლებელს, უსათუოდ გამოიჩენდა. გადავავლოთ სემინარიის წარსულს თვალი, აღვნიშნოთ ის ფაქტები, რომელნიც ასურათებენ ამ წარსულს და მაშინ ცხადი იქმნება ჩვენთვის, თუ რა გაუკეთა, რა სარგებლობა მოუტანა მან ჩვენს ქვეყანასა.

ეს სასწავლებელი, როგორც თვით სახელიც აჩვენებს, მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთათვის არის დაარსებული. ამიტომ იმ თავითვე მასში იღებდნენ განათლებას ამ ქვეყნის სხვა-და-სხვა ერთა წარმომადგენელი ყმაწვილ-კაცობა. ამ ჟამად, მაგალითად, სემინარიის მოსწავლეთა სხვა-და-სხვაობა ეროვნული შთამამავლობის მხრივ ცამეტნაირია: აქა სწავლობენ რუსები, ქართველები, ბერძნები, სომხები, თათრები, ნემცები, ლეკები, ქისტები, სპარსელები, ქურთები და სხვანი. ამ ერთა შორის ყველაზედ მეტი არიან თათრები, რომელთათვის 1879 წელს გაიხსნა ცალკე განყოფილება სემინარიისა. ამ განყოფილებას აქვს თავისი საკუთარი პანსიონი, ჰყავს თათრული ენის მასწავლებელი, ხოლო სამღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშნულია ორი მოლა: შიიტებისა და სუნიტებისა.

ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიაში დაარსებიდან დღევანდლამდე სწავლა აქვთ გათავებული 373 ყმაწვილს. ამ რიცხვიდამ ქართველები ყოფილან 117, ქართველ მოსწავლეთა უმრავლესობას შეადგენენ გლეხის შვილები, თუმცა თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების წარმომადგენელნიც ბლომათ ურევიან მათში.

ასწავლიან სამღვთო სჯულს, რუსულ ენას, არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, პედაგოგიას, ბუნებით მეტყველებას, ქართულს, სომხურ და თათრულ ენებს. ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია ერთად-ერთი საწავლებელია მთლად რუსეთის იმპერიაში, სადაც ქართული ენა საშტატო საგნათ ითვლება და სავალდებულო საგანია ყოველი ქართველისათვის და თავისუფლად სარგებლობს იმგვარისავე მნიშვნელობით ძ უპირატესობით, როგორც ყოველი სავალდებულო საგანი. სემინარია შესდგება ოთხი კლასისაგან და ამ ოთხ კლასში ქართულ ენას აქვს ათი გაკვეთილი კვირაში.

პროგრამა ქართული ენისა დამყარებულია ჩვენი ქართველი პედაგოგის პატივცემულ იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის „ბუნების კარზედ“. ყოველმა შეგნებულმა ქართველმა კარგათ იცის ეს წიგნი, იცის მისი მაღალი ეროვნული და პედაგოგიური ღირსებანი, ამის გამო ყველას შეუძლიან წარმოიდგინოს მოხსენებული ქართული ენის პროგრამის შინაარსი, ღირსება, მიმართულება და მიზანი. „ბუნების კარის“ გარდა მასში მოქცეულია აგრეთვე ზოგიერთა წერილები განსვენებულის ჩუბინაშვილის ქრისტომატიიდან და მრავალი საუკეთესო ლექსები თანამედროვე ჩვენი პოეტებისა: ილიასი, აკაკისა, რაფიელისა, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებისა და სხვათა. სემინარიის ქართველი მოსწავლენი ვალდებულნი არიან ისწავლონ ხუცურის კითხვაც და იმდენათ გაივარჯიშებენ ხოლმე სამღვთო-საეკკლესიო წიგნების კითხვას, რომ თვით მოსწავლენი ემსახურებიან მღვდელს, როდესაც სემინარიის წმიდა ნინოს ეკკლესიაში ქართულათა სრულდება წირვა-ლოცვა.

მოსწავლენი ხშირათა სწერენ სავარჯიშო თხზულებათა და თარგმანებს. თარგმნას უფრო მეტი ყურადღება უმცროს კლასებში აქვს მიცემული. გამოცდილმა და ენის კარგად მცოდნე მწერლებმა იციან, რომ სამშობლო ენას ისე არაფერი არ ალაზათიანებს, როგორათაც წარჩინებულ უცხო მწერლების თხზულებათა გაცნობა და ღირსეულად თარგმნა მათი... ამიტომაც სემინარიის მოსწავლენი უფრო ხში-

---

კაცთა წრეში, რომელიც ზემოდ მოვიხსენეთ, და ამისათვის გაგზავნილ იქმნა 1832 წელს ვარშავას. ამ გვარმა სასჯელმა გიორგი ერისთავს მცირედი სარგებლობა არ მოუტანა. ვარშავა, პოლონეთის დედა-ქალაქია და მაშინაც, როგორც ახლა, ცენტრი იყო პოლონეთის განათლებისა და კულტურისა. ახალგაზდა გიორგიმ შეისწავლა იქ პოლონური, დააკვირდა იქაურს წარმატებულს ცხოვრებას და, როცა ვადა გაუთავდა სასჯელისა, სამშობლოში დაბრუნებულმა ხელი მოჰკიდა ქართულ თეატრისა და ჟურნალის დაარსებას. მაშინდელმა მთავარ-მართებელმაც, ამ დიდმა მფარველმა ქართულის მწიგნობრობისა და მწერლობისამ, ხელი შეუწყო გიორგის, რომელმაც მთელი რეპერტუარი შეჰქმნა ქართულის პიესებისა. ქართულის თეატრის დააარსებას მოჰყვა დაარსება ქართულის ჟურნალისა. პირველი წიგნი ჟურნალისა გამოვიდა 1852 წლის პირველ თთვეს, ესე იგი იანვარში. ნება-რთვა ამ პირველის ყოველ-თვიურის ჟურნალის გამოცემისა თვით მთავარ-მართებელმა გამოსთხოვა იმპერატორს ნიკოლოზ I-ს. თან 100 ეგზემპლიარზე მოაწერა ხელი და სთხოვა ეგზავნათ ცისკრის ნომრები ახლად დაარსებულ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ბიბლიოთეკისათვის. ფასი ჟურნალისა იყო 5 მან. წელიწადში; მაშასადამე, თ. ვარანცოვმა 500 მან. შემწეობა აღმოუჩინა პირველსავე წელიწადს ახლად დაბადებულს ჟურნალს. განცხადება ჟურნალის გამოცემის შესახებ პირველად დაიბეჭდა გაზ. „Кавказъ“-ში 27 აპრილს 1851 წელს № 32, მაშასადამე რვა თთვის წინად.

ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ პირველ ხანში: გრ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, პლ. იოსელიანი, დიმ. ყიფიანი, მიხ. თუმანიშვილი, მამა „Нов. Об.“-ეს ეხლანდელის რედაქტორისა და სხვ. ჟურნალში იბეჭდებოდა აგრეთვე ნაწარმოებნი პოეტის ალ. ჭავჭავაძისა (გარდაიცვალა 6 ნოემბერს 1846 წელს) და ნ. ბარათაშვილისა († 1845 წ.), რომელნიც მანამდე ხელნაწერებად ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

თუ პირველმა გაზეთებმა ორსამ წელიწადზედ მეტს ხანს ვერ იცოცხლეს, „ცისკარსაც“ არ გაუღიმა ამ მხრივ ბედმა. მეორე წლის გასულს ჟურნალი შეჩერდა, რადგან მოაკლდა შემწეობა თავ. ვარანცოვისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება 1854 წლის დამდეგს. 1857 წლიდან „ცისკარი“ ისევ განახლდა ივანე კერესელიძის რედაქტორობით. ჟურნალის განახლებას დიდად ხელი შეუწყო ალ. ორბელიანმა, რომელიც დიდი მოყვარული იყო ქართულის სიტყვიერებისა და დაახლოვებული მისი თანამშრომელიცა.

ამ ხანად ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ: დანიელ ჭონქაძე, ავტორი „სურამის ციხისა“, ლავრ. არდაზიანი, ავტორი შესანიშნავის რომანისა „სოლომონ მეჯღანუაშვილი“, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე და სხვ. ჟურნალმა იცოცხლა 1875 წლამდე; ამ ხანებში სიომ დაჰბერა, ახალი მიმართულება გაჩნდა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. ძველმა ჟურნალმა ვერ აართვა ალღო ცხოვრების ახალს მიმდინარეობას, წელში მოიხარა და იძულებული იყო გზა დაელოცნა და ასპარეზი სალიტერატურო მუშაკობისა დაეთმო სულ სხვა გვარ კაცთათვის, სხვა გვარად მომზადებულ მოღვაწეთათვის. უკანასკნელს ხანში ჟურნალი თავ-თავის დროზედაც ვეღარ გამოდიოდა და დიდის გაჭირვებით-ღა იბრუნებდა სულს. ზოგჯერ 5—10 ნომრის მეტი არ გამოდიოდა წლის განმავლობაში. მხოლოდ 1872 წელს დაიბეჭდა 12 ნომერი. 1875 წელს გამოვიდა ერთად-ერთი ნომერი და მოისპო კიდეც.

ჟურნალის ერთ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ რედაქცია უხვად ჰბეჭდავდა ძველის ლიტერატურის ნაწარმოებს და დიდს ადგილს უთმობდა საისტორიო და საარქეოლოგიო წერილებს.

პირველ ხანში ჟურნალი იბეჭდედა 300 ეგზემპლიარამდე, ხოლო ბოლოს—არა უმეტეს 200 ეგზემპლიარისა. 1857 წელს ხელ-მოწერის ფასი იყო 6 მან. ქალაქში და 7 მან. ქალაქ გარედ. 1869 წლიდგან 8 მან. იქმნა დანიშნული გაგზავნით და გაუგზავნელად.

1886 წელს ივ. კერესელიძემ კვლავ სცადა განახლება „ცისკრისა“ გაზეთის სახით. მიიღო ნებართვა და კვირაში სამჯერ დაიწყო ბეჭდვა 1887 წლის იანვრამდინ, მაგრამ 23 ნომრის მეტი ვერ დაიბეჭდა და ახლად დაარსებული გაზეთი სამუდამოდ მოისპო.

„საქართველოს მოამბე“—ყოველთვიური სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი, დაარსებული ტფილისში 1863 წელს. ეს ჟურნალი დააარსა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც მაშინ ჯერ ისე ყმაწვილი კაცი იყო და რომელსაც უკვე სახელი ჰქონდა მოპოვებული ლიტერატურაში. ჟურნალსა ჰქონდა აზრად გაერკვია მნიშვნელობა იმ მოძრაობისა, რომელიც კაი ხნის დაწყებული იყო რუსეთში, საკუთრად საქართველოსათვის; აგრეთვე აზრადა ჰქონდა გაევრცელებინა ჭეშმარიტი აზრი ჩვენის ცხოვრებისა და ლიტერატურის ამა თუ იმ კერძოობის შესახებ. მით უმეტეს საჭირო იყო ესა, რომ ჩვენი ქვეყანა დღე-დღეზედ ელოდა მაშინ ორს დიდ რეფორმას—ბატონ-ყმობის გადავარდნასა და სამართლის საქმის ძირეულად შეცვლას. ჟურნალმა დაიწყო გამოსვლა მარტიდან და დიდხანს ვერ იცოცხლა. გამოვიდა ათი ნომერი და მოისპო იმავე წლის გასულს, რა წელსაც დაარსდა, თუმცა ხელის-მომწერთა რიცხვი საკმაოდ ჰყავდა. ჟურნალი ჰღირდა 9 მან. ქალაქში და ქალაქ გარედ ხელის-მომწერთათვის 10 მ. ამ ჟურნალში იღებდნენ მონა-

რად სთარგმნიან ხოლმე რუსთა სახელოვან ბელეტრისტის განსვენებულ ტურგენევის მოთხრობებიდან, რომელთაც, უმთავრესად ენის მხრივ, დიდი პატივი აქვთ მოხვეჭილი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ყოველს განათლებულ ერთა შორის. ესეთი თარგმნა სწარმოებს უფროს კლასებშიაცა, მაგრამ აქ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია თხზულებათა წერაზე.

როგორც მაგალითს დავასახელებ აქ წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში მოწაფეთაგან დაწერილ თხზულებათა რამდენსამე ტემას. მესამე კლასში იქმნა დაწერილი—„ევთიმე და გიორგი მთაწმინდელნი და მათი სამღვთო ლიტერატურული მოღვაწეობა". მესამე კლასის მოსწავლემ მერებაშვილმა დასწერა—„ამოს კომენსკი, მისი ცხოვრება, მოღვაწეობა და პედაგოგიური მოძღვრება". იმავე კლასის მოსწავლემ მაღრაძემ შეადგინა—„უშინსკი, მისი ცხოვრება, მოღვაწეობა" და „პედაგოგიური მოძღვრება." ორივე ეს თხზულებანი გაიგზავნენ ტფილისში აწ უკვე გახსნილ გამოფენაზე. მეორე და პირველი კლასის მოწაფეთ დასწერეს შემდეგ ტემებზედ: „საქართველოს შეერთება რუსეთთან", „ხალხური ლეგენდა საქართველოს მეფე ერეკლე მეორეზე", „მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარი, მისი წარსული და აწმყო", „წმიდა ქართველთ განმანათლებელი ნინო". და სხვანი.

ახლა, როდესაც ქართული ენის მდგომარეობა მოხსენებულ სასწავლებელში ცოტათ თუ ბევრათ დავასურათეთ, მივუბრუნდეთ ისევ მთელი სემინარიის საზოგადო ცხოვრებას. მოსწავლენი სემინარიისა სცხოვრებენ სახელმწიფო ხარჯზედ პანსიონში. როგორც ჩაცმა-დახურვა, ისე სმა და ჭამა სწარმოებს გიგიენურის წესით და მოთხოვნილებით. ცხოვრების ამ მხარეს თვალყურს ადევნებს ექიმი, რომელიც ხშირად ესწრება ხოლმე პედაგოგიურს კრებაზედ. მის აზრსა და დარიგებას შესაფერის პატივისცემით ეპყრობა მთავრობა სემინარიისა. საქმის ამგვარად დაყენების წყალობით ხშირად ვხდებით ხოლმე მოწმედ ფრიად სასიამოვნო და საყურადღებო მოვლენათა.

ავადმყოფობა მოსწავლეთა შორის ძრიელ იშვიათია.. და ეს იშვიათი ავადმყოფობაც თითქმის მუდამ მაშინა ჩნდება, როცა სადღესასწაულოდ შინ დათხოვნილი მოსწავლენი ბრუნდებიან სასწავლებელში და თან მოაქვთ ხოლმე უკვე ტანში გამჯდარი რაიმე სნეულება. როგორც სააღდგომოთ და საშობაოთ, ისე საორთვეოდ დათხოვნილ მოსწავლეთ სწონავენ. ამგვარადვე სწონავენ, როდესაც ბრუნდებიან უკან... და აღმოჩნდება ხოლმე, რომ იგი სკოლიდან წასვლის დროს უფრო მძიმეა, ვიდრე დაბრუნებისას.

ჯანითა და ღონით სავსე მოსწავლენი მთელი წლის განმავლობაში მხიარულად ატარებენ დროს და ამგვარსავე მხიარულის გუნებით აკეთებენ თავიანთ საქმეს. საქმე კი ცოტა არ არის!. იგი მრავალფეროვანი და სხვა-და-სხვა ნაირია და თხოულობს არა მცირედს შრომასა და ერთგულობასა.

გარდა იმ სამეცნიერო საგნებისა, რომელთაც მოსწავლენი კლასში სწავლობენ, დიდი ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული მთავრობას მოსწავლეთაგან სხვა-და-სხვა წიგნების კითხვაზე. მდიდარი ბიბლიოტეკა სემინარიისა ხელს უწყობს ამ ფრიად სასარგებლო საშუალებას მოსწავლეთა ჭკუა-გონების განვითარებისას. ყოველი მასწავლებელი ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმეშიაც მოსწავლეს.

ყოველ მოსწავლეს აქვს მიცემული კარგა დიდი რვეული; ამ რვეულში იგი ვალდებულია ჩასწეროს ყველა ის სტრიქონები წაკითხული წიგნისა, რომელთაც თავიანთ შინაარსით მიიქციეს მისი ყურადღება. როგორც ფუტკრე'ს შეაქვთ სკაში თაფლის შემადგენელი მასალა, ისე მოსწავლენი სემინარიისა მთელი ოთხი წლის განმავლობაში იწერენ თავიან რვეულებში საუკეთესო აზრებს მთელის კაცობრიობის დამამშვენებელ დიდებულ ავტორებისას.

ამ ამონაწერებისაგან სდგება ბოლოს ჟამს მშვენიერი, სუფთად დაწერილი წიგნი, სავსე სულისა და გულის ამამაღლებელ, გონების განმავითარებელ აზრებითა, რომელნიც, როგორც თვითონ მასწავლებელნი იწერებიან, დიდ სულიერს სამსახურს უწევენ სოფლად მივარდნილ, განათლებულ საზოგადოებას მოშორებულ საერო სკოლების მასწავლებელთ. როგორც მაგალითს დავასახელებ აქ რამდენსამე ავტორს, რომელთაც უფრო ხშირად კითხულობენ მოსწავლენი: ამოს კომენსკი, ჟანჟაკ-რუსსო, პესტალოცი, დისტერვეგი, ლებბოკი, უშინსკი, კ. პ. იანოვსკი, ოსტროგორსკი, პელინსკი, მიროპოლსკი, ვოდოვოზოვი, ტოლსტოი, ტურგენევი, დოსტოევსკი, პუშკინი, ლერმონტოვი, სმაილსი, გროტი, გოგოლი, ლებოკი, დიკენსი, შექსპირი, პიროგოვი, გრიბოედოვი, სერვანტესი, პოტტო და სხვანი მრავალნი.

გორელი

(დასასრული იქნება).

დაბა და სოფელი

ქ. ახალციხე. ამ დღეებში ვადაიყვანეს აქედგან ერევანში მასწავლებლად აქაური სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი გრიგოლ იესეს ძე ბურჭულაძე. ბ-ს ბურჭულაძეს დიდი შრომა მიუძღვის ახალციხის საზოგადო საქმეებში. ათი წელიწადი დაჰყო ბ-ნმა ბურჭულაძემ ამ ქალაქში და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაარიგა: მისის მეცადინეობით დიდი წარმატება დაეტყო ძველს ქალაქის საქალებო სკოლას, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან დაარსებულს წიგნთ-საცავ - სამკითხველოს, სადაც თითქმის ყოველ დღე დაიარებოდა და, როგორც-კი შეეძლო, წესიერებაში მოჰყავდა; გარდა ამისა, მისის მეცადინეობით იმართებოდა სკოლებისა და ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენები და სხ. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ბ-ნს ბურჭულაძეს აგრეთვე გარშემო სოფლებისაკენაც, სადაც ქართველობაა დასახლებული, და საჭიროების დროს რითაც შეეძლო ეხმარებოდა.

ი. ბარკალა—ი.

—

ს. კახი (საინგილო). ტყუილი-კი არ არის ნათქვამი, „ნემსის ქურდი და აქლემისა ერთიაო". სწორედ ეს ანდაზა ამ დღეებში ახდა ს. კახში და ნემსის ოდენა ქურდობამ აქლემზედ დიდი საქმე გამოიწვია. ერთს 10—12 წლის ბიჭს აელო ხურჯინი, გადასულიყო თავისს მეზობელ მოხუცებულ მანდილოსნის ვენახში და ყურძენი დაეკრიფნა. მოხუცებულს რომ ბიჭი დაენახა, ვენახიდგან ხურჯინით ყურძენს მიეზიდებოდა, გამოსდგომოდა, მაგრამ ვერ დასწევნოდა და ბიჭს ყურძნის გადაცემა მოესწრო. ამ დროს შინიდგან თურმე მოდიოდა მოხუცებულის ახალგაზდა შვილის - შვილი ალექსანდრე, რომელსაც შესჩივლა მოხუცებულმა: ჩვენმა მეზობლის გოდამ (პატარა ბიჭია) ყურძენი გადაზიდა და მეც მაგინაო. ახალგაზრდას გული მოუვა, გამოვა გარედ და თავიანთს მეზობლებს დაუწყებს ლანძღვა-გინებას. თავისს სახლიდგან ამ გინებაზედ გინებითვე გამოეპასუხება ქურდის ძმა გიორგი ეპიტაშვილი. ესეც ახალგაზრდა 20—25 წლის ბიჭია. ძალიან შელაპარაკდებიან და ერთმანეთზედ მიიწევენ. მოჩხუბარნი შეიყრებიან ვიწრო ორღობეში და წაეკიდებიან. ამ დროს იძრობს ხანჯალს ალექსანდრე ეპიტაშვილი, (მოხუცებულის შვილის - შვილი) დასცემს მარცხენა ყურში გიორგი ეპიტაშვილსა (ქურდის ძმას) და მოათლის. ამას აღარ დააჯერებს და, როდესაც დაჭრილი ეპიტაშვილი ყურზედ ხელს მიიშველებს, მოუბრუნდება და ახლა ხელში დაჰკრავს ხანჯალსა და მძიმედ დაუშავებს ხელს და შემდეგ კისერს. გიორგი და ალექსანდრე ეპიტაშვილები ბიძაშვილები არიან. ამბობენ, ერთმანეთში არავითარი მტრობა არა ჰქონიათო. ალექსანდრე ეპიტაშვილი შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

სამი თვეა რაც კახში ციდგან ნამი არ ჩამოვარდნილა. გვალვამ ბალახი მთლად მოსტრუსა და ბრინჯსაც რაღაც მწერი გაუჩნდა, თავთავს უჭამს.

გ. ფარადაშვილი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

—

ვირხოვის 80 წლის იუბილეისათვის თითქმის ყველგან ემზადებიან. აი რა სახელმწიფოები აპირობენ ამ იუბილეიში მონაწილეობის მიღებას: ავსტრალია, ავსტრია, არგენტინა, ბრაზილია, ბოლგარია, ბრიტანიის ინდოეთი, უნგრეთი, ინგლისი, საბერძნეთი, დანია, ეგვიპტე, იტალია, ესპანია, კანადა, ლიუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდია, ნიდერლანდიის ინდოეთი, ნორვეგია, ახალი ზელანდია, პორტუგალია, რუმინია, რუსეთი, შეერთებული შტატები, ოსმალეთი, საფრანგეთი, ჩილი და შვეცია.

⁂

ამას წინად ინგლისურს ენაზედ დაუბეჭდიათ ლინჩის თხზულება სომხეთის შესახებ. ლინჩს აწერილი აქვს ოსმალეთისა და რუსეთის ის პროვინცია, სადაც სომხები მკვიდრობენ. ავტორს თვით დაუვლია ეს ადგილები, არარატზედაც ასულა.

⁂

ათინაში ამას წინად გარდაცვლილა 90 წლის პოეტი ანდრეას ლასკარატოსი. ლასკარატოსი ბერძენთა მეტად ნიჭიერი სატირიკოსი იყო. ბერძენთა ცხოვრების მრავალი უკუღმართი მხარე აღნიშნა და

წილეობას საუკეთესო და ნიჭიერნი კაცნი სამოციან წელთა წრისანი.

„დროება"—პირველში ყოველკვირეული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდიოდა დიდის სასტამბო თაბახის სახით. დაარსებულ იქმნა 1866 წელს მარტიდან ნიკ. ღოღობერიძისა, სტეპ. მელიქიშვილისა, ვახტ. თულაშვილისა და დიმ. ბაქრაძის მიერ. ამათვე დააარსეს გაზეთისათვის სტამბა, რომელმაც კარგა დიდხანს იცოცხლა მას შემდევ სტ. მელიქიშვილის ფირმით. ამავე ამხანაგობამ იზრუნა ქართულის საბეჭდავ ასოების განკარგებისა და სხვა-და-სხვაობისათვის. ამ აზრით ჩამოასხმევინა ვენაში ყოველ გვარ ნომრის ასოები (ციცერო, კორპუსი და ასო მთავრული) იმ მატრიცებით ანუ ყალიბებით, რომელიც თვითვე შეუკვეთა ამ საქმის ოსტატებს. ამ შრიფტებს ქართულს სტამბასა და რედაქციებში დღესაც მელიქოვის ასოებს უწოდებენ. ამხანაგობამ მოიწვია ახალის გაზეთის რედაქტორად გ. წერეთელი, რომელიც მხნედ შეუდგა საქმეს თავის თანამშრომლებთან ერთად. ამ გაზეთში დაახლოვებულს მონაწილეობას იღებდნენ სხვა-და-სხვა დროს: ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, ალ. ცაგარელი, ვ. პეტრიაშვილი, სერ. მესხი, ინგილო ჯანაშვილი და სხვ. 1869 წელს რედაქტორობა გაზეთისა გადავიდა ს. მესხის ხელში. ს. მესხი უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული კაცი იყო, საფრანგეთს კარგად ხანს ნამყოფი, შრომის მოყვარე და მტკიცედ მიმყოლი იმ გზისა, რომელსაც ერთხელვე დასდგომოდა. ს. მესხმა აღარ შეატოვა თავისი საქმე და სიკვდილამდე, ესე იგი 1883 წლამდე აღარ განშორდა თავის გაზეთს, აღარ გაუშვა კალამი ხელიდან. თვისის გამუდმებულის მუშაობითა და მხნეობით სერგეიმ ისე მოახერხა, რომ გაზეთმა ჯერ სამჯერ დაიწყო გამოსვლა კვირაში 1875 წლიდან, თუმცა შემცირებულის ფორმატით, ხოლო 1877 წლიდან, როცა უკანასკნელი ომიანობა დაიწყო, „დროება" ყოველ-დღიურ გაზეთად იქმნა გადაქცეული. მხოლოდ კვირა-უქმე დღეებს შემდეგ არ გამოდიოდა. ყოველ-კვირეული „დროება" ჰღირდა 6 მან. ქალაქის ხელის მომწერთათვის, ხოლო ქალაქ გარეშეთათვის—7 მან. 1871 წლიდან ეს ფასი დაკლებულ იქმნა 5 და 6 მანეთამდე. ხოლო როცა ვადა გამოსვლისა გამოიცვალა და გაზეთმა სამჯერ დაიწყო გამოსვლა კვირაში: ოთხშაბათობით, პარასკეობითა და კვირაობით, ესე იგი 1875 წლიდან ფასი მოემატა, 8 მან. გახდა და ეს ფასი დარჩა ძველ გაზეთებში ამ შედარებით ყველაზედ დღეგრძელ გამოცემას. „დროებამ" იცოცხლა 1885 წლის 14 სექტემბრამდე, როცა აღკრძალულ იქმნა სამუდამოდ მთავრობის მიერ თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მთავარ-მართებლობის დროს. მაშინ ცოცხალი აღარ იყო ს. მესხი. რაკი ჯანმრთელობა დაზიანდა ძნელის ხანგრძლივის საგაზეთო შრომით, რაკი იგრძნო, რომ ჩემის ნაამაგარის გაზეთისათვის აწ ვეღარ გამოვდგებიო, 1883 წელს იგი სამკურნალოდ წავიდა თავის სოფ. რიონში და იქიდან აბასთუმანს, საცა სამუდამოდ გამოეთხოვა წუთი-სოფელს, ხოლო რედაქტორობა გაზეთისა გადასცა ივ. მაჩაბელს. მაჩაბლის ხელში იქმნა აღკრძალული გაზეთი „დროება", როგორც ვსთქვით, 1885 წლის მიწურულებში. ს. მესხისა და ივ. მაჩაბლის დროს „დროებაში" დაახლოვებულს მონაწილეობას იღებდა, აკაკი წერეთლისა და სხვათა ახალგაზრდა მწერალთა გარდა, ჩვენი ცნობილი ბელლეტრისტი ალ. ყაზბეგი. 1881 წლიდან ძლიერ გავრცელდა გაზეთი. ამ წელს მარტში იბეჭდებოდა უკვე 1000-მდე მეტი ეგზემპლიარი. ალ. ყაზბეგის მონაწილეობამ ამ მხრივ ბევრი უშველა გაზეთს. უკანასკნელს წლებში გაზეთი იბეჭდებოდა არა უმეტეს 700—800 ეგზემპლიარისა.

„მნათობი"—ყოველ-თვიური სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა ტფილისში ნ. ავალიშვილის რედაქტორობით 1869 წლიდან. ეს ჟურნალი ჰღირდა წელიწადში 8 მ. იცოცხლა „მნათობმა" 1872 წლამდე. „მნათობში" სხვა-და-სხვა დროს თანამშრომლობდნენ: ან. ფურცელაძე, მ. ქიქოძე, გ. თარხნიშვილი, ნიკ. ცხვედაძე, გ. წყალტუბელი (ფსევდონიმი), ნ. ლომაური და სხ. ჟურნალი იბეჭდებოდა 200—300 ეგზემპლიარამდე. ჟურნალი უფრო კრებულის ხასიათისა იყო, ვიდრე ჟურნალის ერთის გარკვეულის მიმართულებისა.

„კრებული" — ყოველ-თვიური ჟურნალი, უფრო კრებული წერილებისა სხვა-და-სხვა საგანზედ, საზოგადო და საქართველოს ისტორიისა, გეოგრაფიისა და ოროგრაფიის შესახებ. ჟურნალში იბეჭდებოდა აგრეთვე მოთხრობანი და მგზავრის წერილები და ნაწერები ევროპის საპოლიტიკო ცხოვრების მოვლენათა გამო. ზოგჯერ მთელი წიგნი კრებულისა გავსებული იყო ამა თუ იმ თანამშრომლის ნაწერითა, უფრო-კი გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის წერილებითა. მაინც ეს ორნი იყვნენ უმთავრესნი დამაარსებელნი და თანამშრომელნი ამ ჟურნალისა. ზემოხსენებულ მწერალთა გარდა „კრებულში" იღებდნენ მონაწილეობას: გრ. ორბელიანი, აკ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ნ. ცხვედაძე და სხ. „კრებულმა" იცოცხლა 1874 წლამდე. ბოლოს დროს რედაქტორობა „კრებულისა" გადასცა გ. წერეთელმა კ. ლორთქიფანიძეს, ეხლანდელს დირექტორს ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისას. „კრებული" იბეჭდებოდა 500 ეგზემპლიარად და ჰღირდა წელიწადში 5 მან. გაუგზავნელად და 6 მან. გაგზავნით.

გრ. ყიფშიძე

(გაგრძელება იქნება).

გაჰკიცხა სატირიკოსმა თავისს ლექსებსა და პროზაში. სხვათა შორის იმის სატირების საგანს საბერძნეთის სამღვდელოების უვიცობა და ცრუმორწმუნოება შეადგენდა. ლასკარატოსის ერთმა თხზულებამ ისე გააბრაზა ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომ ამ უკანასკნელმა ავტორი ეკლესიისაგან განაყენა.

* * *

როგორც გაზეთები სწერენ, ლ. ტოლსტოის დაუმთავრებია წერილი „ერთად ერთი საშუალება“; ეხლა იგი მოთხრობას ადგენს თურმე ამ სათაურით „მოხუცნი“.

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „Присоединеніе Грузіи къ Россіи“, თხუზ. ავალიშვილისა. წიგნი 1 მან. 50 კაპ. ღირს და პეტერბურგშია გამოცემული. დაწვრილებით ამ წიგნს შემდეგ განვიხილავთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

10 სექტემბერი.

ბერლინი. გერმანიის ბანკმა აუწია დისკონტს $3\frac{1}{2}$-დგან 4%-მდე.

მოსკოვი. შილოვოს სადგურთან, როდესაც მატარებელი გადმოვარდა ლიანდაგიდგან, დაშავდა 53 ჯარის-კაცი, ამათგან ოთხი მძიმედ. დანარჩენმა ჯარის კაცებმა პარაკლისი გადაიხადეს ამ ადგილას.

მოსკოვი. ინგლისში წავიდა 15 სოფლის მეურნე ინგლისის პურის ბაზრის გასაცნობად. ორი ციმბირიდგანაა, დანარჩენთაგან უმრავლესობა სამხრეთ გუბერნიებიდგან.

ლონდონი. კიტჩინერი იუწყება: „ვილიამსმა ედინბურგის დასავლეთით ტყვედ ჩაიგდო სტოკის თითქმის მთელი რაზმი. ბეკასონმა კაროლინასთან ტყვედ წაიყვანა 54 კაცი, მათ შორის ვიღაც ბოტაც. ბეკასონმავე ჩაიგდო ხელთ 48 ურემი, კრიუცინგერმა მოიწადინა ორანჟეს მდინარეს გასვლა, მაგრამ ლოვატსი დაეცა თავს, მდინარეზედ გასვლა კრიუცინგერმა ველარ მოახერხა, მაგრამ ლოვატსს დიდი ვნება მიაყენა. მოკლულთა შორის არიან პოლკოვნიკი მურრიე და კაპიტანი მურრეი. ბურებმა ხელთ ჩაიგდეს ზარბაზანი, მაგრამ ინგლისელებმა უკანვე წაართვეს. ტყვეები, რომელნიც უტრეხტთან მომხდარ ბრძოლაში წაიყვანეს ბურებმა, თვითონვე გაანთავისუფლეს. ფლაკფონტენთან ინგლისელებს მოუკლეს 6 კაცი, დაუჭრეს 23 და ტყვედ წაიყვანეს 105 კაცი, მაგრამ ისევ გაანთავისუფლეს.

დურბანი. ბოტა 1,500 კაცით ერმელოდგან აღმოსავლეთით მიდის ზულუსთა მიწისაკენ. თან ახლავან ტრანსვალელ ბურთა ცნობილი წინამძღოლნი. ლიტლტონი დიდის ჯარით მდინარე ბუფფალოს მახლობლადა სდგას.

ფრიდენსბორგი. კრიტის გუბერნატორი მეფის ძე გიორგი დღეს საგანგებო მატარებლით მოვიდა. იმასთან ერთად არიან საბერძნეთის მეფე და დანიის ტახტის მემკვიდრე.

გელზინფერი. 12 საათს და 40 წუთზედ ფრედენსბორგიდგან საგანგებო მატარებლით მოვიდნენ ინგლისის მეფე-დედოფალი და უმაღლესნი გვამნი. მათ დაჰხვდნენ მინისტრ-პრეზიდენტი, საზღვაო მინისტრი და სხვანი. უმაღლესნი გვამნი „ოსბორნის“ იახტაზედ დასხდნენ. საუზმეც იქ მიირთვეს. „ოსბორნი“ 1 საათსა და 45 წუთს წავა ინგლისში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით.

კალლუნდბორგი. შუადღისას ცეცხლი გაუჩნდა აქაურ სახერხავ ქარხანასა და შეშის საწყობს. ქარმა ცეცხლი ქალაქს მოსდო. ცეცხლმა მთავარ ქუჩამდე მიაღწია; გაანადგურა რამდენიმე შენობა ქალაქის თითქმის ყველა ნაწილში. მცხოვრებნი თავს ანებებენ თავიანთ სახლებს. კაპენგაგენიდგან საგანგებო მატარებლით ცეცხლის საქრობი მანქანები იქმნა გაგზავნილი. სამის საათის განმავლობაში შეაჩერეს ტელეგრაფისა და ტელეფონის მოქმედება, აგრეთვე რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლა, რადგანაც სადგურის მახლობლად შენობას ცეცხლი ეკიდა.

დიუნკირხენი. რუსეთის კრეისერი „სვეტლანა“ დილას წავიდა, „ვარიაგი“ ხვალ წავა, ხოლო საიმპერატორო იახტა „შტანდარტი“ — ოთხშაბათს.

პეტერბურგი. 10 სექტემბერს პეტერბურგის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე დრაგუნთა მე-137 რაზმის პორუჩიკის კლიკოვისა, რომელსაც ზოოლოგიურ ბაღში აზნაურის მალინოვსკის მოკვლა ჰბრალდებოდა. სასამართლომ, სცნო რა ბრალდებული დამნაშავედ, დაადგინა: ჩამოერთვას კლიკოვს ჩინი, აზნაურობა, ყველა უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს $1\frac{1}{2}$ წლით ტუსაღთა განყოფილებაში. ამასთან დადგენილ იქმნა, იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ეს სასჯელი შეეცვალოს საპყრობილეში ორის თვით დაპატიმრებით, სამსახურში ზოგიერთა უფლების ჩამორთმევით და საეკკლესიო მონანიებით.

11 სექტემბერი.

პეტერბურგი. „მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია: „ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა საფრანგეთის სამხედრო მინისტრს ანდრეს და გენერლებს კესლერსა და დონსა ორდენი ალექსანდრე ნეველისა, საფრანგეთის მინისტრებს—თეთრის არწივისა, ყველა იმ სადივიზიო გენერლებს, ვინც ალლუმში მონაწილეობას იღებდნენ—ანნასი, ბრიგადის გენერლებს — სტანისლავისა პირველი ხარისხისა. რეიმსის მთავარ-ეპისკოპოს კარდინალს ლანჟენის ებოძა ორდენი ალექსანდრე ნეველისა. გენერალმა ნეგრიემ, რომელსაც ორდენი ალექსანდრე ნეველისა უკვე აქვს, მიიღო სათუთუნე, ბრილიანტებით მორთული.

კალლუნბორგი. 9 საათი და 30 წუთი, ცეცხლის მქრობელთ იმედი აქვთ ეხლა ცეცხლი ჩააქრონ. დაიბარეს კოპენგოგენიდგან მეორე მანქანა, ორთქლით მომუშავე. ზარალი მეტად დიდია, რამდენიმე მილიონი იქმნება. რკინის გზამ, ტელეგრაფმა და ტელეფონმა მოქმედება დაიწყეს. ცეცხლს ხალხი არ უმსხვერპლნია.

ცეტინე. პატარა გემს, რომელიც ჩერნოგორიის მთავარს ეკუთვნის, საფარიდგან სროლა დაუწყეს სკუტარის ტბაზედ, ოსმალეთა დაბის სტერებეჩის მახლობლად 20-მდე კაცი ისროდა. არავინ დაჭრილა. ჩერნოგორიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ესეთ მოქმედების გამო.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში და ტფილისში — „წერა-კითხვის გამავრ. საზ.“ მაღაზიაში

„თხზულებანი გრ. აბაშიძისა“,

ავტორის სურათით, ფასი სამი აბაზი, ქუთათურის ამხანაგობის გამოცემა, № 16.

როგორც ეს, აგრეთვე ამხანაგობის სხვა გამოცემანი მყიდველთ შემდეგს ფასებად დაეთმობათ:

ვინც ნაღდ ფულად იყიდის წიგნებს, დაეთმობა 30% (მანეთზედ ექვსი შაური); ვინც ას ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 35%, ხოლო ვინც საკომისიოთ წაიღებს, მიეცემა 15%.

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ „**ზღაპრები**“, შეკრებილნი ძმ. გრიმების მიერ.

ამასთან გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ამხანაგობის წევრებს, აგენტებს და ყველა გულშემატკივართ, რომ დაეხმარონ მას, როგორც საწევრო, ან გაყიდული წიგნების ფულის წარმოგზავნით, ისე დასაბეჭდი მასალების მოწოდებით.

(5—6.—1)

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„შხეფა“-სი

აუწყებს ამ ამხანაგობის პაის პატრონთ, რომ მესამე ვადა 10%-ს შესატანისა, ე. ი. 10 მანეთისა თვითეულს პაიზედ დანიშნულია 14-დგან 22 სექტემბრამდე. ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ პაის კვიტანციები. ამასთანავე მოვაგონებთ პაის პატრონთ საამხარაგო ხელშეკრულების მე-7 § ს. ამხანაგობის კანტორა ერევნის მოედანზეა, ხარაზოვის სახლში.

(4—116—4)

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № [illegible] 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებსა-ამასთან მყიდველეს თმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში, რისთვისაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობრძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელნი: გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 52 და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 756.

(25—163—6)

სააფთეაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ქურქლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

[illegible] Тифлисъ „Фармацевтика“.

(100—43—87)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**